



იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE

№ 01/23/03-6735  
„28“ 08 2007წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თქვენი მიმდინარე წლის 17 ივლისის №2/11775-14 წერილის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგერის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ:

- 1. მიზანშეწონილია, შეთანხმების პროექტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტებში სიტყვას „შეთანხმება“ წინ დაემატოს სიტყვა „წინამდებარე“.
- 2. შეთანხმების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „d“ ქვეპუნქტში ტერმინი „პირი“, მიზანშეწონილია, განიმარტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.
- 3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „h“ ქვეპუნქტის მიმართ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-15 პუნქტში მოცემული „საერთაშორისო გადაზიდვის“ განმარტება მოიცავს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ტვირთების გადატანას ან/და მგზავრების გადაყვანას.
- 4. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სამშენებლო მოედანს, სამონტაჟო ან საამწყოობო ობიექტს მიიჩნევს მუდმივ დაწესებულებასთან გათანაბრებულ ობიექტად მისი არსებობის დროის მიუხედავად.
- 5. მიზანშეწონილია, შეთანხმების მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, მხედველობაში იქნეს მიღებული ის, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადასახადისაგან გათავისუფლება „2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს“.
- 6. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინის „უძრავი ქონება“ განმარტება არ არის შესაბამისობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლებთან.
- 7. შეთანხმების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრის მეთოდი შეიძლება შეიცვალოს



„დამაჯერებელი და საკმარისი მიზეზის“ წარმოშობის შემთხვევაში. დასაზუსტებელია, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ მიზეზში, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილია მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგების განსაზღვრის წესი.

8. მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „უცხოური საწარმო (გარდა სააღიარო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში ახორციელებს საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს...“, ამასთან, 170-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააღიარო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებელი უცხოური საწარმოს საქმიანობა ასევე ექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას.

9. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ტერმინი „კული“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისთვის.

10. შეთანხმების მე-9 მუხლის სათაურში ტერმინი „ურთიერთდამოკიდებული საწარმოები“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „ურთიერთდამოკიდებული პირები“ და განიმარტოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად.

11. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, ტერმინი „პროცენტი“ არ მოიცავს საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილ საეალო ვალდებულებებს.

12. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტერმინი „როიალტი“ აგრეთვე მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასურს, ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „...ტექნიკური დახმარების გაწვევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებულ შემოსავალს“.

13. შეთანხმების მე-13 მუხლის სათაურში ფრაზა „შემოსავლები კაპიტალის მატებიდან“ უცნობია საქართველოს კანონმდებლობისთვის.

14. მართებულია, შეთანხმების პროექტით განისაზღვროს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

15. ამასთან, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

კონსტანტინე კორკელია  
მინისტრის პირველი მოადგილე